

აფხატულ-ი (დაფხატულ-ი) ძალიან ციცაბო აღმართი (დაღმართი). „თქვენი ხი-რაუშა დაეჭვიო, აფხატული, დაფხატულიო“ (გვ. 196).

დამწვეტებულე-ი (მხ. რ. დამწვეტებულ-ი) წვერწამახლები „ურემს დეეწვას გამ-ჩენიო, დამწვეტებულე ჩხირებო“ (გვ. 193). გადატ. გამწყრალნი, გაბუტულნი, მიუ-კარებელნი. „სუ დამწვეტებულე დადიან“.

საცხად ცხადში. „საცხად თუ ვარო, ის მეგონის“ (გვ. 190).

შავნაბადა. შავი კამეჩი. „მალედავ წამააყენესო შავნაბადის შვილებიო“ (გვ. 194).

წურმელა. წურბელა, რომელიც ძირითადად ტბებსა და ჭაობიან ადგილებშია გავრცელებული და სისხლს წოვს ყველა ცოცხალ არსებას, რომელსაც კი მიეკრობა. წურმელა და წურმელა სხვადასხვა წვრილი არსებებია.

სულ ასეთი 31 სიტყვა აღვწახებთ. მოკლე სარეცენზიო წერილში ვერ ხერხდება ყველას განმარტება. ვინც დააპირებს ფშაური ლექსიკონის გამოცემას, მას აუცილე-ბლად მივაწვდი ამ და სხვა გამორჩენილი სიტყვების განმარტებებს. დასაკარგი და დასავიწყებელი არაფერი გვაქვს.

### ტრისტან მახაური

**მანანა შილაკაძე. ტრადიციული სამუსიკო საკრავები და ქართულ-ჩრდილოკავკასი-ური ეთნოკულტურული ურთიერთობანი. თბ., „კავკასიური სახლი“, 2007.**

მანანა შილაკაძის მონოგრაფია ეძღვნება ქართველთა და ჩრდილოკავკასიელ ხალხთა მუსიკალური საკრავებისა და საკრავიერი მუსიკის თავისებურებების შე-დარებით შესწავლას. წიგნში მოყვანილი ცნობები, საკრავებისა და საკრავიერი მუსიკის ანალიზი და მათი ეთნოგრაფიულ-სოციალური კონტექსტის შედარებითი განხილვა ემსახურება უძველესი საერთო-კავკასიური სუბსტრატული კულტურის არსებობისა და ქართველ და ჩრდილოკავკასიელ ხალხთა შორის ისტორიული კონ-ტაქტების თეორიის დასაბუთებას. ამ მხრივ, ის აგრძელებს და ამდიდრებს ქართულ ეთნომუსიკისმცოდნეობაში არსებულ შედარებითი კვლევის ტრადიციას. როგორც ავტორი აღნიშნავს (გვ. 17), ჯერ კიდევ მუსიკისმცოდნე შალვა ასლანიშვილმა წამოა-ყენა დებულება ქართული და ჩრდილოკავკასიური მუსიკალური კულტურების ნა-თესაობის შესახებ (Шалва Асланишвили. Народные основы грузинских композиторов. V: Грузинская музыкальная культура, стр. 410-445. М., Государственное Музыкальное Издательство, 1957).

მანან შილაკაძის წინამდებარე წიგნი, ისევე როგორც მისი ადრეული შრომები, საფუძველს უყრის ქართულ ეთნომუსიკისმცოდნეობაში უგულვებელყოფილ სფეროს — საკრავიერი მუსიკის შედარებით-მეცნიერულ და ეთნოლოგიურ კვლევას. როგორც თვით ავტორი აღნიშნავს, „წინამდებარე ნაშრომში ეთნოკულტურულ ურთიერთ-ობათა შესწავლაში პირველად არის გამოყენებული ხალხური საკრავი“ (გვ. 21). საკრა-ვიერი მუსიკის ასეთი უგულვებელყოფა არცაა გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ კავკასია და, კერძოდ, საქართველო უნიკალურია სწორედ მრავალხმიანობის სიმლე-რის ტრადიციით, რაც ხშირად იწვევს კულტურის აღქმის სტერეოტიპიზაციას როგორც თვით ქართული კულტურის წარმომადგენლების და ქართველი მკვლევარების მიერ, ასევე უცხოელების მიერაც. საკრავები მეტწილად ქართული ეთნოსამუსიკისმცოდნეო ნაშრომების ერთ-ერთ ნაწილს შეადგენდნენ და მათი შესწავლა ძირითადად წყობის, ტერმინოლოგიისა და მათი სადაურობის აღწერით შემოიფარგლებოდა (თვით ისეთ ფუნდამენტურ ნაშრომებშიც კი როგორცაა, მაგალითად, ივანე ჯავახიშვილის ქარ-თული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები. თბილისი: ფედერაცია, 1938).

წიგნი შედგება ხუთი თავისა და მოკლე დასკვნებისაგან. დართული აქვს რეზიუმე ინგლისურად, რუსულად და გერმანულად. წიგნის ბოლოში მოცემულია საკრავების

ილუსტრაციები, სანოტო მაგალითები, საკრავების გავრცელების რუკა, საგანთა, ტერმინთა და პირთა საძიებელი. პირველ თავში მოცემულია ქართული და ჩრდილო-კავკასიური საკრავების დაწვრილებითი მიმოხილვა, მათი გავრცელების არეალები, დამზადების ტექნიკა და ჟანრული ფუნქციები, ანუ ის წეს-ჩვეულებები, რიტუალები და სიმღერები, რომლებშიც მოცემული საკრავი მონაწილეობს. ჩეჩნურ-ინგუშური ატუხ-ფანდურის, სვანური ჭუნირის, ადიღურ-უბარდოული შიჭა-ფშინის და სხვა საკრავთა მონაწილეობა ძირძველ რიტუალებში და სიმღერებში, რომლებიც გარდაცვლილთა სულებთან და დაავადებათა მკურნალობასთანაა დაკავშირებული, აგრეთვე ისტორიულ-საგმირო და ეპიკურ (ჩრდილო-კავკასიური ნართული ეპოსი) სიმღერებში, მოწმობს განხილული ტრადიციული საკრავების წარმოშობის სიძველეს. თავში განხილულია დაკვრის ტექნიკა, სიმების და საკრავზე შესრულებული მუსიკის კილოური წყობა; ნაჩვენებია აგრეთვე საკრავების გენდერული სპეციფიკა შემსრულებლობაში (ამა თუ იმ საკრავის მამაკაცების ან ქალების მიერ შესრულება). წიგნში ჩართული ცხრილები აადვილებს სხვადასხვა ხალხების საკრავების წყობის და ტერმინოლოგიის შედარებით აღქმას.

პირველ თავშივეა განხილული ინსტრუმენტული ანსამბლის ტრადიცია და თანამედროვე საშემსრულებლო ტრადიციები — ახალი საკრავების დამკვიდრება და მათ მიერ ძველი ტრადიციული საკრავების შეცვლა-განდევნა (მაგალითად, გარმონისა და შემდეგ აკორდეონის დამკვიდრება ჩრდილო კავკასიაში, გვ. 111-112).

**მეორე თავი** ეძღვნება საკრავიერ მუსიკას — ანუ თვით იმ მუსიკის სტილებს, რომლებიც სრულდება განხილულ საკრავებზე. წიგნის ერთ-ერთ დადებით, გამორჩეულ თავისებურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ საკრავები და საკრავიერი მუსიკა შესწავლილია არა როგორც იზოლირებული ფენომენი, არამედ როგორც ვოკალური მუსიკის და, კერძოდ, ტრადიციული მრავალხმიანი სიმღერის განუყოფელი ნაწილი.

ავტორი მართებულად აღნიშნავს ვოკალურთან შედარებით ინსტრუმენტული და ვოკალურ-ინსტრუმენტული მუსიკის დაბალ დონეს ჩრდილო კავკასიაში და საქართველოში. ასეთი მოსაზრება სავსებით მართლდება სოფლის ტრადიციულ კულტურებთან მიმართებაში (რომლებიც წიგნის კვლევის ძირითად საგანს შეადგენენ), რადგან სოფლის ყოფაში ნაკლები შესაძლებლობებია საკრავიერი მუსიკის ვოკალურისაგან დამოუკიდებლად განვითარებისა. არ დავივიწყოთ, რომ საკრავები ტექნიკურად უფრო ძნელი ასათვისებელია, ვიდრე სიმღერა, და მეტ რესურსსაც მოითხოვს (მასალა, დამზადების ტექნოლოგია, შენახვა და ასე შემდეგ). ალბათ ესეც არის იმის მიზეზი, რომ სოფლებში საკრავიერი მუსიკა ვოკალურისადმი დაქვემდებარებული და მასზე ნაკლებადაა განვითარებული. ამ მხრივ, ქალაქებში (თბილისში, მაგალითად) უფრო მაღალგანვითარებული სემი-პროფესიული საკრავიერი კულტურები ჩამოყალიბდა, და საკრავიერი მუსიკაც ვოკალურისაგან მნიშვნელოვნად დამოუკიდებელი გახდა. შემთხვევითი არ არის ისიც, რომ ინსტრუმენტული მუსიკა განვითარდა ისეთ აყვავებულ და პოლიტიკურად დომინირებულ საზოგადოებებში, როგორებიცაა არაბეთი, სპარსეთი, ინდოეთი და, XVI-XVII საუკუნეებიდან მოყოლებული, დასავლეთ ევროპა და შემდგომ, ევროპაში დახვეწილი საკრავები (ფორტეპიანო, გიტარა, ვიოლინო და ა. შ., რომელთა სათავეებიც არაევროპულ ქვეყნებშია საძიებელი) გავრცელდა სხვა ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში. თვით ავტორიც აღნიშნავს, რომ ბოლო ხანებში ენიანი სალამურის ვირტუოზი შემსრულებლები გამოჩნდნენ, რომლებიც ხალხურთან ერთად კლასიკურ ნაწარმოებებსაც ასრულებენ (გვ. 129).

განსაკუთრებით აღსანიშნავია ავტორის მიერ საკრავიერი მუსიკის მელოდიურ-ინტერვალური, აკორდულ-ჰარმონიული და კილოური თავისებურებების ვოკალურ მრავალხმიანობასთან მსგავსების განხილვა, საკრავიერი მრავალხმიანობის

ფორმების ანალიზი, სიმღერის და მისი საკრავიერი თანხლების ურთიერთმიმართება და საკრავიერი მუსიკა, როგორც ცეკვის თანხლება. ვფიქრობ, მეტ დასაბუთებას მოითხოვს ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ „საკრავებზე საცეკვაოების შესრულება გაცილებით გვიანდელი მოვლენა უნდა იყოს“ (გვ. 221).<sup>10</sup> საინტერესო დაკვირვებას იძლევა ავტორი და შესაბამის დასკვნასაც ვეთავაზობს იმის თაობაზე, რომ ყაბარდოულ ორხმიან სიმღერაში შიჭა-ფშინას თანხლება ცალფა და უნისონურად იმეორებს გუნდის პარტიას (გვ. 153). აქედან ავტორს გამოაქვს დასკვნა, რომ საკრავი ამ შემთხვევაში სიმღერის გვიანდელი დანართია. ეს დასკვნა რომ უფრო დამაჯერებელი გახდეს, კარგი იქნებოდა იმის ჩვენება, რომ ასეთი თანხლება ამ ქანრის დამახასიათებელი მოვლენა და არა ცალკეული შემთხვევა. მეორე თავში მოცემული ანალიზი ილუსტრირებულია კონკრეტული მაგალითებით, თუმცა, როგორც ავტორი აღნიშნავს, აკორდიკის თეორიული არსის გარკვევა მის კომპეტენციას სცილდება (გვ. 128). თავში ცალ-ცალკე განხილული ქართული, აფხაზური, ადიღური, ბალყარული და ყარაჩაული, ოსური, ჩეჩნურ-ინგუშური და დაღესტნის ხალხთა საკრავიერი მუსიკა.

**მესამე თავში განხილულია** საკრავებისა და საკრავიერი მუსიკის განვითარების ძირითადი ეტაპები ეთნოგრაფიული (საკრავთა გამოქულება რელიგიურ-მაგიურ რიტუალებში), არქეოლოგიური (გათხრებში ნაპოვნი საკრავები და საკრავთა გამოსახულებები) მასალებისა და საკრავებთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის მიხედვით. საინტერესო ცნობებია მოყვანილი და განხილულია ისეთი ტერმინები, როგორებიცაა „საკრავი“, „დაკვრა“ და „ტოში“, რომელთა სემანტიკაში ასახულია საკრავთა განვითარების უძველესი საფეხურები და, კერძოდ, ხმის გამოცემის უმარტივესი ხერხი — დარტყმა. მკითხველისათვის საინტერესო იქნება მთელს კავკასიაში ფართოდ გავრცელებული საკრავისა და ტერმინი „ფანდურ“-ის სემანტიკური განხილვა ძველი წინააზიურ-შუმერული და თანამედროვე აღმოსავლური და ევროპული ანალოგიური საკრავებისა და ტერმინოლოგიის კონტექსტში. მაგალითად, მ. შილაკაძის მიერ განხილული ტერმინის „ეზანი“ (ძველი ქართული მუსიკალური საკრავი) კავშირი ქართული მრავალხმიანობის ერთ-ერთი ხმის აღმნიშვნელ ტერმინ „ბან“-თან რომელიც უნდა ნიშნავდეს ხმის დაბმას,<sup>11</sup> ევგვიპტურ ბან/ბენ-თან („რკალი“) და შუმერულ giš ban/ giš pan (“მშვილდი“) მნიშვნელოვანია ქართულ-კავკასიური და წინააზიური კულტურების შედარებითი კვლევისათვის. ამავე თავში განხილავს ავტორი საკრავიერი მრავალხმიანობის ვოკალური მრავალხმიანობიდან სესხების შესაძლებლობას. კერძოდ, ორსიმინი საკრავებიდან სამსიმინი საკრავების განვითარება განხილულია როგორც ვოკალური სამხმიანობის გავლენის შედეგი.

**მეოთხე თავში** ავტორი უშუალოდ ქართულ-ჩრდილოკავკასიურ მუსიკალურ ინსტრუმენტებს შორის არსებულ მსგავსებებს განიხილავს. მსგავსება მუსიკალურ საკრავებს შორის ამ ხალხების უძველეს პროტოტიპულ ეთნიკურ ერთობლიობას მიეწერება (გვ. 227). ძირითადად განხილულია სიმებიანი საკრავები და მათ შორის არსებული ანალოგიები — არფა/ჩანგი, ხემიანი საკრავები, ფანდური, მათი აღმნიშვნელი ტერმინოლოგია და პარალელები ირანულ ენაში. საინტერესოა შილაკაძის კრიტიკული დამოკიდებულება იმ დამკვიდრებული მოსახურების მიმართ, რომლის მიხედვითაც ხემიანი საკრავი გვიანდელი წარმოშობისა და არფისებრიდან

10 ამ მხრივ საინტერესო იქნება თანამედროვე თეორიები მუსიკის წარმოშობის შესახებ, რომლებიც ასაბუთებენ, რომ ევოლუციური თვალსაზრისით მუსიკა მოძრაობის და ცეკვის განუყოფელი ნაწილია.

11 ედიშერ გარაყანიძე, „ზოგიერთი ქართული მუსიკალური ტერმინის განსახლვრებისათვის და ეტიმოლოგიისათვის.“

უნდა განვითარებულიყო. ავტორის კრიტიკის საფუძველს შეადგენს მარტივი ხემიანი საკრავების არსებობა ქართველ მთიელებში და ჩრდილოკავკასიელებში, და ამ საკრავების მონაწილეობა უძველეს კავკასიურ რიტუალებში. სპეციალური ქვეთავი ეძღვნება გადმოცემებს და თქმულებებს სიმებიან საკრავთა წარმოშობის შესახებ.

წიგნის ერთ-ერთი კონცეფციის მიხედვით, შედარებით მაღალგანვითარებული საკრავები ჩრდილოკავკასიის ხალხებში ქართულიდანაა გადატანილი, მაგალითად, აფხაზური *აჩამგური* ქართული *ჩონგურის* სესხების მაჩვენებელია. საინტერესოა მოსახრება, რომ „ერთი ხალხის მიერ მეორე ხალხისაგან აითვისება ის საკრავები, რომელთაც მოუძლიათ მათ[ი] მუსიკის ეროვნული თავისებურების ასახვა და მათ[ი] ესთეტიკური მეთხოვნილების დაკმაყოფილება“ (გვ. 237). ამასთანაა დაკავშირებული იდეაც, რომ შემორჩა მხოლოდ ის საკრავები, რომლებიც „ზუსტად შეესაბამებოდა იმ მუსიკალურ აზროვნებას, რაც ამ ხალხის ვოკალურ კულტურაში იყო ასახული“ (გვ. 238). კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ეს დებულებები მართლდება ტრადიციულ, სოფლურ კულტურებთან მიმართებაში. ქალაქის კულტურებში ამ თვალსაზრისით სხვანაირი მდგომარეობაა, **მაგალითად** დუდუკი ნასესხებია ქართველთა მიერ და, მიუხედავად იმისა, რომ „აღმოსავლური ჰანგები თბილისში გაქართულდა, გამრავალხმიანდა“ (გვ. 117), მაინც შეიძლება ითქვას, რომ დუდუკმა და მასზე შესრულებულმა მუსიკამ, ქართული ვოკალური მრავალხმიანობისათვის უცხო ელემენტები შემოიტანა ქართულ მუსიკაში, რომლებიც შემდგომში ორგანულად შეერწყნენ ქართულ კულტურას.

წიგნის ბოლო, **მეხუთე თავში**, საუბარია ქართულ და ჩრდილოკავკასიურ მუსიკალურ კულტურებში არსებული საერთო ნიშნების გამომწვევ ფაქტორებზე. განხილულია ქართველ მთიელთა და ჩრდილოკავკასიელთა შორის ეკონომიკური თანამშრომლობის ფორმები და აგრეთვე საერთო ადათი, რაინდობის, ძმადნაფიცობის, სტუმართმოყვარეობის და ტომთა შორის მეგობრული ურთიერთობის (ყონაღობის) ინსტიტუტები, რომლებიც, ავტორის აზრით, მუსიკალური იდეების და საკრავების მსგავსების (ასევე ურთიერთგაცვლის, ნ. ც) ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი უნდა გამხდარიყო.

ჩრდილოკავკასიურ-ქართული მუსიკალური პარალელების ახსნა სტუმართმოყვარეობის, რაინდობისა და ეკონომიკური თანამშრომლობის საფუძველზე თითქოს რომანტიკულ იდეალს უფრო წარმოადგენს ვიდრე დღევანდელ რეალობას, თუმცა, მეორე მხრივ, ძველი ადათ-წესები და მათი გადმონაშთები თანამედროვე ყოფაში რეალობის ნაწილია. სწორედ ამ ადათ-წესებმა შემოინახეს ეთნოსთა შორის კეთილმეზობლური ურთიერთობების რეგულირების ის უბრალო და ყოველდღიური ყოფითი მექანიზმები, რომლებსაც ზოგჯერ სახელმწიფოები და პოლიტიკოსები დღეს უგულვებელყოფენ და ანადგურებენ კიდევ.

არ შეიძლება არ აღვნიშნო, რომ მანანა შილაკაძის წიგნი შეეხება ქართული და კავკასიური ეთნოლოგიის მეტად საჭირობოროტო საკითხს, განსაკუთრებით, დღევანდელ პოლიტიკურ პირობებში. მიუხედავად ქართველთა და ჩრდილოკავკასიელ ხალხთა შორის უძველესი დროიდან მოყოლებული ისტორიული და ეთნიკურ-კულტურული კავშირებისა, ისტორიულ-პოლიტიკური და გეოგრაფიული პირობების გამო ეს ორი რეგიონი და მათში მცხოვრები ხალხები დღესდღეობით სხვადასხვა გეოპოლიტიკურ ზონებში აღმოჩნდნენ და ეთნოტერიტორიულ კონფლიქტშიც კი იმყოფებიან. დღეს, რუსეთსა და კავკასიის შორის დაძაბული პოლიტიკური ვითარების ფონზე, მსგავსი ნაშრომები მნიშვნელოვანია არამარტო ლოკალური ეთნოლოგიისათვის, არამედ რეგიონში მომავალი პოლიტიკურ-კულტურული ურთიერთობების განვითარებისთვისაც.

წიგნის მიმოხილვის უანრი მაიძულეს ზოგიერთი ხარვეზიც აღვნიშნო. ზოგჯერ ალბათ აჯობებდა, რომ მაგალითები ციფრობრივ აღნიშვნებთან ერთად (II-I და VII-I) სანოტო ტრანსკრიფციების სახითაც ყოფილიყო წარმოდგენილი. ეს უფრო გაადვილებდა მუსიკის აღქმას. ტექსტში ზოგ ადგილას გვხვდება ორთოგრაფიული შეცდომები. სასურველი იქნებოდა ეთნომუსიკისმცოდნე თინათინ ჟვანიას ნაშრომის ხსენებაც საკრავებზე და, კერძოდ, ქართულ საკრავებში არაქართული ტერმინოლოგიის არსებობაზე და მათი ახლოაღმოსავლურ კულტურებთან კავშირებზე.

წიგნში მოყვანილი ერთ-ერთი დებულება გამომდინარეობს აღმოსავლეთ ევროპაში დამკვიდრებული სამეცნიერო სტერეოტიპიდან, რომლის მიხედვითაც „წმინდა ეროვნული“ და „აუთენტიკური“ მხოლოდ ძველი სოფლური ტრადიცია შეიძლება იყოს და რომ ეთნოგრაფიული მასალების, სპეციალური ლიტერატურისა და წერილობითი წყაროების მიხედვით, თანამედროვე ყოფაში დამკვიდრებული საკრავიერი მუსიკის ტრადიციები არ არის დამახასიათებელი ქართული ყოფისათვის (გვ. 115). არა და, მოგვწონს ეს თუ არა, თანამედროვე ყოფის ამსახველი ეთნოგრაფიებიც ხომ ქართული ყოფის ნაწილია.

შედარებითი კონტექსტიდან ამოვარდნილია სამხრეთ კავკასიის ერები — სომხეთი და აზერბაიჯანი, მაშინ როდესაც ბევრი მოხსენიებული საკრავი (დაირა, დოლი, ისევე როგორც ფანდურის ტიპის ჩამოსაკრავი საკრავები) საქართველოს, ჩრდილო კავკასიასა და სამხრეთ კავკასიას საზიარო აქვთ, მით უმეტეს, XIX-XX საუკუნეებში, ესე იგი, იმ პერიოდში, რომლიდანაც მომდინარეობს წიგნში მოყვანილი მრავალი ეთნოგრაფიული მასალა. მაგრამ რაკი წიგნი ეხება კონკრეტულად საქართველოს და ჩრდილოკავკასიის საკრავებს და მათ შორის არსებულ კონტაქტებს, ასეთი მოთხოვნის წაყენება არ იქნება მართებული.

წიგნი დიდ დაინტერესებას გამოიწვევს კავკასიისა და საქართველოს კულტურის მკვლევართა შორის. მისასალმებელი ფაქტია, რომ წიგნში თავმოყრილი და განხილულია ქართული და ჩრდილოკავკასიური მუსიკალური და ეთნოგრაფიული ლიტერატურა, რაც მდიდარ ინფორმაციას მისცემს ამ რეგიონით დაინტერესებულ მკვლევარს.

**ნინო ციციშვილი,**

მუსიკის განყოფილება/კონსერვატორია,  
მონაშის უნივერსიტეტი, მელბურნი, ავსტრალია

**ლელა პატარიძე. „პოლიტიკური და კულტურული იდენტობანი IV-VIII სს-ის ქართულ ერთობაში: „ქართლის ცხოვრების“ სამყარო, თბილისი, კავკასიური სახლი, 2009, 185 გვ.**

ერის პოლიტიკური და კულტურული იდენტობა ის თემაა, რომელის შესახებ კვლევების სიმრავლით ქართული საზოგადოება განებივრებული ნამდვილად არ არის. საბჭოთა პერიოდში მსგავს თემებზე აზრის გამოთქმა მხოლოდ მარქსისტულ-ლენინური სწავლების ჩარჩოში იყო ნებადართული. რა არის ერი და რა ადულაბებს მას პოლიტიკურ-კულტურულ ერთობად, რა იდეას ეფუძნება სახელმწიფო და რა არის მისი ეროვნული ხელისუფლების ლეგიტიმურობის წყარო, რამდენად ახდენს გავლენას სახელმწიფოს პოლიტიკური საზღვრები ერის იდენტობაზე და ემთხვევა თუ არა ის ერის კულტურულ საზღვრებს... ეს არის ის საკითხები, რომელთა კვლევაშიც ქართული სოციალური მეცნიერება საგრძნობლად ჩამორჩა თანამედროვე მეცნიერების ტემპს. ამ ხარვეზის შევსების პირველი სერიოზული მცდელობაა სამეცნიერო ნაშრომთა სერია — „ქართული ერთობა და მისი იდენტობა: იდეები, სიმბოლოები, პერცეფციები“, რომლის ფარგლებშიც გამოიცა სამი მონოგრაფია ლელა პატარიძის, ზურაბ კიკნაძისა და მარიამ ჩხარტიშვილის ავტორობით.